



თესტი პირლოგიაში

2010

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

ყურადღება!!!

პასუხების ფურცელის გაკეცვა დაუშვებელია!

მხედველობაში არ მიიღება ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი (ან შემოხაზული) პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ყურადღებით შეავსეთ პასუხების ფურცელი!

წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. პასუხების ფურცელი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი) არ გასწორდება!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ტესტურ დავალებათა შესრულების აღწერა

დავალების I ტიპი – რამდენიმე სავარაუდო ვარიანტიდან ერთადერთი სწორი პასუხის არჩევა (ე.წ. არჩევითპასუხიანი ტესტური დავალება).

ინსტრუქცია: დავალებაში დასმულია შეკითხვა და მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი
- ნომრის ქვეშ იპოვეთ უჯრა, რომელიც თქვენ მიერ არჩეულ პასუხს შეესაბამება
- დასვით X ნიშანი ამ უჯრაში

მაგალითად, თუ მე-6 დავალების პასუხად აირჩიეთ პასუხის (ბ) ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-6 დავალების სვეტი და ამ სვეტში, პასუხის (ბ) ვარიანტის შესაბამის უჯრაში, დასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| ა | X | | | X | | | |
| ბ | | X | ■ | | X | | X |
| გ | | | X | | | ■ | |
| დ | | | | X | | | X |

გაითვალისწინეთ:

- პასუხის მონიშვნისას გამოიყენეთ მხოლოდ ის კალმისტარი, რომელიც გადმოგეცემათ „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ მიერ;
- პასუხის მონიშვნისას დავალების ნომერი უნდა ემთხვეოდეს იმ სვეტის ნომერს, რომელშიც სვამთ **X** ნიშანს;
- თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში **X** ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა – პორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება;
- დასაშვებია, რომ **X** ნიშანი გადასცდეს თეთრ უჯრას (იხ. ნიმუში), მაგრამ იგი არ უნდა იყოს ძალზე მცირე;
- თითოეული დავალების შესაბამის სვეტში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრაში დასვათ **X** ნიშანი. თუ სვეტში ერთზე მეტ **X** ნიშანს დასვამთ, ამ დავალების არც ერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად;
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით **X** ნიშანი ახალ უჯრაში). ელექტრონული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ **X** ნიშნიან უჯრას აღიქვამს (იხ. ნიმუში). ამიტომ შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომლის შესაბამისი უჯრა უკვე მთლიანად გააფერადეთ.

დავალების II ტიპი – შესაბამისობის პოვნა.

ინსტრუქცია: უნდა იპოვოთ შესაბამისობა ჩამონათვალში მოცემულ მოვლენებს ან ობიექტებს შორის. შეავსეთ ცხრილი შემდეგნაირად:

ციფრებით დანომრილ თითოეულ თბიექტს თუ მოვლენას შეუსაბამეთ ანბანით დანომრილი თბიექტი თუ მოვლენა და დასვით ნიშანი X ცხრილის სათანადო უჯრაში.

შესაბამისობა შეიძლება არ იყოს ურთიერთცალსახა
(ანუ, რომელიმე მოვლენას ან ობიექტს ჩამონათვალიდან
შეიძლება შეესაბამებოდეს ერთი, ერთზე მეტი ან არც ერთი
– მეორიდან). (იხ. ნიმუში).

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | X | | | X |
| 2 | | | X | X |
| 3 | X | | | |

დავალების III ტიპი – ტერმინების ჩამონათვალიდან სწორი ვარიანტის შერჩევა.

ინსტრუქცია: მოცემულია ტექსტი, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები და იქვეა ტერმინების ჩამონათვალი. აბიტურიენტს ევალება, თითოეულ გამოტოვებულ ადგილს, რომელსაც ცხრილში ლათინური ასო შეესაბამება (x, y, z), მოუძებნოს აზრობრივად შესაბამისი ტერმინი და მხოლოდ მისი ნომერი ჩაწეროს ცხრილში.

დავალების IV ტიპი – მოცემული ამოცანის ამოხსნა

ინსტრუქცია: დავალებაში მოცემულია ამოცანის პირობა და დასმულია რამდენიმე კითხვა. თითოეულ კითხვას შეესაბამება ერთი სწორი პასუხი. ოქვენ უნდა მიიღოთ სწორი პასუხი და იმავდროულად მოკლედ, მაგრამ ნათლად წარმოადგინოთ პასუხის მიღების გზა. ჭინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი არ შეფასდება.

შესაძლებელია, ზოგიერთი ამოცანა იხსნებოდეს რამდენიმე ხერხით. ამ შემთხვევაში საკმარისია, აჩვენოთ ამოხსნის ერთ-ერთი გზა.

პასუხების ფურცელი იმ სახით შემოწმდება, რა სახითაც გადასცემთ კურატორს. თუ რაიმე შეცდომას დაუშვებთ, პასუხებს არასწორ ადგილას მონიშნავთ და ა.შ., გამოცდის დასრულების შემდეგ აღარ გექნებათ შესაძლებლობა, გამოასწოროთ ეს შეცდომა. ამიტომ ძალზე ყურადღებით იმუშავეთ პასუხების ფურცელზე; პასუხების აღნიშვნისთვის არაა გამოყოფილი დამატებითი დრო. ასე რომ, დროულად მონიშნეთ არჩეული პასუხი შესაბამის უჯრაში.

ტესტირების დასრულებისას, კურატორის თანდასწრებით უნდა დაითვალით გადასწორებულ პასუხთა რაოდენობა და აღნიშნოთ შესაბამის უჯრაში (თითოეული სრულად გაფერადებული უჯრა ერთ გადასწორებად ითვლება). გადასწორებულ პასუხთა რაოდენობას კურატორი დაადასტურებს ხელმოწერით.

შეგახსენებთ, პასუხები ყურადღებით გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე !

1. ჩამოთვლილთაგან რომელი ჯირკვალი ასრულებს მხოლოდ გარეგანი სეკრეციის ფუნქციას?

- ა) პიპოფიზი ბ) სანერტყველი გ) ფარისებრი დ) სასქესო

2. სისხლის მიმოქცევის სისტემის სხვადასხვა უბანზე სისხლის მოძრაობის სიჩქარე განსხვავებულია. ის ყველაზე დაბალია:

- ა) ქვედა ღრუ გენაში ბ) კაპილარებში
გ) ფილტვის გენაში დ) თირკმლის გენაში

3. სიმინდის ყანის მახლობლად მდებარე ტბაში გადაწყვიტეს კალმახის მოშენება. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ანთროპოგენური ფაქტორი აფერხებს ამ პროცესს. კერძოდ:

- ა) ზამთარში ტბის გაყინვა
ბ) მტაცებელი თევზების არსებობა
გ) პესტიციდებით ტბის დაბინძურება
დ) საკვების მცირე რაოდენობა

4. რუხი შეფერილობის დროზოფილების შეჯვარებისას მიიღეს შთამომავლობა, რომლის 25% აქვს შავი შეფერილობა. როგორი ყოფილა მშობლების გენოტიპები?

- ა) AA × aa ბ) Aa × AA გ) Aa × Aa დ) Aa × aa

5. როგორი სახის ცვალებადობას იწვევს დნმ-ს მოლეკულიდან ნუკლეოტიდის ამოვარდნა?

- ა) კომბინაციურ ბ) მუტაციურ გ) მოდიფიკაციურ დ) შეფარდებით

6. ადამიანის სისხლის ჯგუფი მემკვიდრული ნიშან-თვისებაა და განისაზღვრება წყვილი გენით სამი ალელიდან 0, A და B. სისხლის ჯგუფები შემდეგი გენოტიპებით განისაზღვრება:

$$\begin{array}{ll} \text{I} - 00 & \text{II} - 0A \text{ ან } \text{AA} \\ \text{III} - 0B \text{ ან } \text{BB} & \text{IV} - \text{AB} \end{array}$$

რომელი ჯგუფის სისხლი შეიძლება ჰქონდეთ II და III ჯგუფის სისხლის მქონე ჰეტეროზიგოტური მშობლების შვილებს?

- ა) მხოლოდ I, II, IV ბ) მხოლოდ I, III, IV
გ) მხოლოდ II, III, IV დ) I, II, III, IV

7. მეფრინველეობის ფერმაში საკვების შემცირების გამო, ქათმებში დაიკლო კვერცხმდებლობამ. ეს განპირობებულია:

- ა) ხელოვნური გადარჩევით
- ბ) კომბინაციური ცვალებადობით
- გ) მოდიფიკაციური ცვალებადობით
- დ) ბუნებრივი გადარჩევით

8. გულის რომელ განყოფილებაში ვითარდება ყველაზე მაღალი წნევა?

- | | |
|-----------------------|----------------------|
| ა) მარცხენა წინაგულში | ბ) მარცხენა პარკუჭში |
| გ) მარჯვენა წინაგულში | დ) მარჯვენა პარკუჭში |

9. ჩამოთვლილი პროცესებიდან რომელი სტიმულირდება ადამიანის კუნთებში სიმაღლეზე სწრაფი ასვლისას?

- I – გლიკოგენის გლუკოზად გარდაქმნა
II – კუნთებში რძემჟავის დაგროვება
III – გლუკოზის გლიკოგენად გარდაქმნა

- ა) მხოლოდ I
- ბ) I და II
- გ) II და III
- დ) მხოლოდ III

10. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში რუს ნივთიერებას ქმნის:

- I - აქსონები II - დენდრიტები III - ნეირონების სხეულები
- ა) მხოლოდ I და II
 - ბ) მხოლოდ I და III
 - გ) მხოლოდ II და III
 - დ) I, II და III

11. ჩამოთვლილთაგან რომელი ორგანოიდები აქვთ როგორც ბაქტერიებს, ისევე ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებს?

- I –პლასტიდები II –მიტოჰონდრიები III –რიბოსომები
- ა) მხოლოდ I
 - ბ) I და II
 - გ) მხოლოდ III
 - დ) I და III

12. რით რეგულირდება შინაგანი ორგანოების მუშაობა?

- I – ვეგეტატური ნერვული სისტემით
II – სომატური ნერვული სისტემით
III – შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებით

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ II
- გ) I და II
- დ) I და III

13. გლუკოზის რამდენი მოლეკულა უნდა დაიშალოს გლიკოლიზის პროცესში, რომ წარმოიქმნას 20 მოლეკულა ატფ?

- ა) 5 ბ) 10 გ) 20 ღ) 40

14. ჩამონათვალში რომელი არ არის ევოლუციის საბოლოო შედეგი?


- ა) ორგანიზმთა შეგუება გარემო პირობებთან
 ბ) ორგანიზმთა ორგანიზაციის დონის ამაღლება
 გ) მემკვიდრული ცვალებადობა
 ღ) სახეობათა მრავალფეროვნება

15. მიტოზის გზით წარმოიქმნება:

I – ზიგოტა II – ბლასტულა III – გასტრულა

- ა) მხოლოდ I და II ბ) მხოლოდ I და III
 გ) მხოლოდ II და III ღ) I, II და III

16. ფერმენტი პეპტიდაზა წყვეტს მხოლოდ პეპტიდურ ბმებს. სურათზე მოცემულ დიაგრამიდან რომელ ბმას გაწყვეტს პეპტიდაზა?



- ა) მხოლოდ 1 ბ) მხოლოდ 2
 გ) მხოლოდ 3 ღ) 1 და 3

17. ადამიანის რომელ ორგანოში ხდება ვიტამინების წარმოქმნა?

- ა) კუჭჭი ბ) კუჭჭები ჯირკვალში
 გ) წერილ ნაწლავში ღ) მსხვილ ნაწლავში

18. კბილების გამუქების ერთ ერთი ფორმის განმსაზღვრელი დომინანტური A გენი და მისი ალელური a გენი, მოთავსებულია X ქრომოსომაში.

ოჯახში დაიბადა მუქაბილიანი ჰომოზიგოტი გოგონა. ვისგან მიიღო მან მემკვიდრეობით ეს ნიშან-თვისება?

- ა) მხოლოდ დედისაგან
 ბ) მხოლოდ მამისაგან
 გ) ერთ-ერთი მშობლისაგან
 ღ) აუცილებლად ორივე მშობლისაგან

19. ჭრილობაში მიწის მოხვედრის შემთხვევაში, რომელი პროცედურის ჩატარება დაიცავს ადამიანს ტეტანუსისაგან (გაშეშებისაგან)?

- ა) აცრა
 - ბ) ანტიბიოტიკის მიღება
 - გ) ჭრილობის იოდით დამუშავება
 - დ) სამკურნალო შრატის შეყვანა
-

საჭმლის მომნელებელ სისტემაში:

20. რომელ ორგანოში იშლება ცხიმები?

I - პირის დრუში II - კუჭში III - თორმეტგოჯა ნაწლავში

- ა) მხოლოდ I და II
- ბ) მხოლოდ I და III
- გ) მხოლოდ II და III
- დ) I, II და III

21. რომელი ფაქტორები განაპირობებენ ცხიმების დაშლას?

I - ტუტე არე II - მუვა არე III - ფერმენტები

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ II
- გ) მხოლოდ III
- დ) I და III

22. რა ნივთიერებამდე იშლება ცხიმები?


- ა) ნახშირორჟანგი და წყალი
 - ბ) გლიცერინი და ცხიმოვანი მჟავები
 - გ) ნახშირორჟანგი და გლიცერინი
 - დ) ცხიმოვანი მჟავები და წყალი
-

23. რომელ ორგანიზმებში არ მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა?

I - გირუსებში II - სოკოებში III - ბაქტერიებში

- ა) მხოლოდ I
- ბ) მხოლოდ I და II
- გ) მხოლოდ I და III
- დ) სამივეში

24. მოცემულია ცილა ვაზოპრესინის ფრაგმენტის ამინომჟავური თანმიმდევრობა:



ფუნქციურად განსხვავებული რამდენი სახის სატრანსპორტო რნმ მონაწილეობს ვაზოპრესინის ამ ფრაგმენტის სინთეზში?

- ა) 5
- ბ) 6
- გ) 9
- დ) 12

25. ადამიანის ორგანიზმში რომელი პორმონი არეგულირებს გლიკოგენის გლუკოზად გარდაქმნას?

I - ინსულინი II – ადრენალინი III - გლუკაგონი

- ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ II
გ) მხოლოდ III დ) II და III

26. მუდმივად გვალვიან პირობებში ცხოვრებასთან დაკავშირებით ევოლუციის პროცესში კაქტუსს ფოთლების ნაცვლად განუვითარდა ეკლები. რა გახდა ამის მიზეზი?

- ა) მოდიფიკაციური ცვალებადობა და მამოძრავებელი გადარჩევა
ბ) მემკვიდრეობითი ცვალებადობა და მამოძრავებელი გადარჩევა
გ) მოდიფიკაციური ცვალებადობა და მასტაბილიზებელი გადარჩევა
დ) მემკვიდრეობითი ცვალებადობა და მასტაბილიზებელი გადარჩევა

27. მეიოზური გაყოფის რომელ სტადიაზე ხდება ქრომოსომების გადაჯვარედინება?

- ა) I გაყოფის პროფაზაში ბ) II გაყოფის პროფაზაში
გ) I გაყოფის მეტაფაზაში დ) II გაყოფის მეტაფაზაში

28. რომელი ნივთიერებები სინთეზდება მიტოქონდრიებში?

I – ნახშირწყლები II – ნუკლეინის მჟავები III – ცილები

- ა) მხოლოდ I და II ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II და III დ) I, II და III

29. იპოვეთ შესაბამისობა ფოტოსინთეზის ფაზებსა და ამ დროს წარმოქმნილ ნივთიერებებს შორის. ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი „X“.

- | | |
|------------------|-------------|
| 1. სინათლის ფაზა | ა. გლუკოზა |
| 2. სიბნელის ფაზა | ბ. ატფ |
| | გ. ჟანგბადი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ა | ბ | გ |
| 1 | | | |
| 2 | | | |

30. დაადგინეთ რომელ ორგანიზმებში ვლინდება დომინანტური და რეცესიული მუტაციები ფენოტიპურად. ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი „X“.

- 1. დომინანტური
- 2. რეცესიული

- ა. ჰეტეროზიგოტებში
- ბ. ჰომოზიგოტებში

| | | |
|---|---|---|
| | ა | ბ |
| 1 | | |
| 2 | | |

31. ჩამონათვალში განსაზღვრეთ ცილებისა და ლიპიდების სამი საერთო ფუნქცია და ცხრილში მათი შესაბამისი რიგობრივი ნომრის ქვეშ ჩაწერეთ ნიშანი „X“.

- 1. სტრუქტურული
- 2. მოძრაობითი
- 3. იმუნური
- 4. ენერგეტიკული
- 5. თბორეგულაციის
- 6. ჰორმონული

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | | | | | |

32. ჩამონათვალში განსაზღვრეთ ელენთის სამი ფუნქცია და ცხრილში მათი შესაბამისი რიგობრივი ნომრის ქვეშ ჩაწერეთ ნიშანი „X“.

- 1. თრომბოციტების წარმოქმნა
- 2. ერითროციტების წარმოქმნა
- 3. ლეიკოციტების ჩამოყალიბება
- 4. ერითროციტების დაშლა
- 5. ერითროციტების შენახვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | | | | |

33. იპოვეთ შესაბამისობა უჯრედის კომპონენტებსა და მათ აგებულებას შორის. ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი „X“.

- 1. ერთმემბრანიანი
- 2. ორმემბრანიანი
- 3. უმემბრანო

- ა. მიტოქონდრიია
- ბ. პლასტიდი
- გ. ლიზოსომა
- დ. რიბოსომა
- ე. ვაკუოლი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ა | ბ | გ | დ | ე |
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| 3 | | | | | |

34. დაადგინეთ შესაბამისობა ბიოცენოზის ჯგუფებსა და კვების ტიპით განსხვავებულ ორგანიზმებს შორის. ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი „X“.

ბიოცენოზის ჯგუფები

1. პროდუცენტები
2. კონსუმენტები
3. რედუცენტები

ორგანიზმები

- ა. ფოტოტროფები
- ბ. ქემოტროფები
- გ. საპროფიტები
- დ. პარაზიტები

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |

35. იპოვეთ შესაბამისობა უჯრედის ორგანოდებსა და მათ ძირითად ფუნქციებს შორის. ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი „X“.

1. გოლჯის აპარატი
2. მიტოქონდრია
3. ლიზოსომა
4. ქლოროპლასტი

- ა. პლაზმური მემბრანის განახლება
- ბ. ნახშირწყლების სინთეზი
- გ. ატფ-ის სინთეზი
- დ. საკვები ნაწილაკების მონელება

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |

36. იპოვეთ შესაბამისობა თავის ტვინის ნაწილებსა და მათი მონაწილეობით შესრულებულ ფუნქციებს შორის. ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი „X“.

1. შუა ტვინი
2. შუამდებარე ტვინი
3. ნათხემი
4. მოგრძო ტვინი

- ა. წონასწორობის შენარჩუნება
- ბ. სუნთქვა, საჭმლის მონელება, ლეჭვა, ცემინება
- გ. მხედველობითი და ბგერითი ორიენტაცია
- დ. სიარული, სირბილი

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |

37. წაიკითხეთ ტექსტი და თითოეულ ლათინურ ასოს (x, y, z) მოცემებნეთ აზრობრივად შესაბამისი ტერმინი. ვარიანტები შეარჩიეთ ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან და ცხრილის შესაბამის უჯრაში ჩაწერეთ შერჩეული ტერმინის რიგობრივი ნომერი.

ორგანული ნივთიერებების დამშლელი ფერმები ხინთებდა x.....
შემდეგ ენდობლა ზმური ბადის არხების გავლით ტრანსპორტირდება y.....
და საბოლოოდ გროვდება z.....

1. ლიზოსომებში
2. გოლჯის კომპლექსში
3. მიტოქონდრიებში
4. რიბოსომებზე
5. ბირთვებში
6. ვაპუოლში

| x | y | z |
|---|---|---|
| | | |

38. დნმ-ს ფრაგმენტის ორივე ჭიმი ერთად შეიცავს 30 ადენინიან და 45 გუანინიან ნუკლეოტიდს.

გამოთვალეთ:

1. რამდენ ადენინიან და თიმინიან ნუკლეოტიდს შეიცავს მოცემული დნმ-ს ფრაგმენტის ორივე ჭიმი?

2. რამდენ გუანინიან და ციტოზინიან ნუკლეოტიდს შეიცავს მოცემული დნმ-ს ფრაგმენტის ორივე ჭიმი?

3. სულ რამდენ ნუკლეოტიდს შეიცავს ამ დნმ-ს ფრაგმენტის ერთი ჭიმი?

4. რამდენ ამინომჟავას შეიცავს ამ ფრაგმენტით კოდირებული ცილა?

39. თეთრი (A) ხარვერძისგან შავმა (a) ნერბმა მოიგო თეთრი და შავი კრავები. იგივე თეთრი ხარვერძისაგან თეთრმა ნერბმა მოიგო ასევე თეთრი და შავი კრავები.

დაადგინეთ შესაძლო გენოტიპები:

1. თეთრი ხარვერძის;
2. თეთრი ნერბის;
3. პირველი შეჯვარებისას გაჩენილი თეთრი კრავის;
4. მეორე შეჯვარებისას გაჩენილი თეთრი კრავის;

გამოთვალეთ:

5. შავი კრავის გაჩენის ალბათობა პირველი შეჯვარებისას;
6. თეთრი კრავის გაჩენის ალბათობა მეორე შეჯვარებისას.

40. კატის ბეჭვის შავი ფერის განმსაზღვრელი A გენი არასრულად დომინირებს წითური ფერის განმსაზღვრელ ა გენზე. შუალედური ფორმა ჭრელია. ეს გენები მოთავსებულია X ქრომოსომაში.

ერთმანეთს შეაჯვარეს ჭრელი და შავი კატები. დაიბადნენ წითური და შავი კნუტები.

დაადგინეთ:

1. მშობლების გენოტიპები;
2. მშობლების გამეტები;
3. წითური და შავი კნუტების შესაძლო სქესი;
4. წითური და შავი კნუტების დაბადების ალბათობა.

41. ბარდის ორი მცენარის შეჯვარებისას მიღებულია:

- 302 კვითელი (A) გლუვი (D) თესლი;
- 298 კვითელი ნაოჭიანი თესლი;
- 102 მწვანე გლუვი თესლი;
- 98 მწვანე (a) ნაოჭიანი (d) თესლი.

1. გამოთვალეთ დათიშვა თესლის ფერის მიხედვით;

2. გამოთვალეთ დათიშვა თესლის ფორმის მიხედვით;

3. ჩაწერეთ მშობლიური ფორმების გენოტიპები;

4. დაადგინეთ პიბრიდების გენოტიპები და თითოეულს მიუწერეთ შესაბამისი ფენოტიპი;

5. ამოწერეთ ფენოტიპები და თითოეულს მიუწერეთ გამოვლენის ალბათობა.

პასუხები და ამონენები

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|
| ა | | | | | | | | | | | | | | | |
| ბ | X | X | | | X | | | X | X | | | | X | | |
| გ | | | X | X | | | X | | | | X | | | X | X |
| ღ | | | | | | X | | | | X | | X | | | |

| | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | |
|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|--|
| ა | | | | | | | | X | X | | | | X | |
| ბ | X | | | | | | X | | | | X | | | |
| გ | | X | X | X | | X | | | | X | | | X | |
| ღ | | | | | | | | | | | | | | |

29. მაქსიმალური 2 ქულა

| | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1 | | X | X |
| 2 | X | | |

თითოეული სწორად შევსებული სტრიქონი 1 ქულა

30. მაქსიმალური 2 ქულა

| | ა | ბ |
|---|---|---|
| 1 | X | X |
| 2 | | X |

თითოეული სწორად შევსებული სტრიქონი 1 ქულა

31. მაქსიმალური 3 ქულა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| X | | | X | | X |

ერთი ზედმეტი X მინუს 1 ქულა
 5 ან 6 შევსებული უჯრა 0 ქულა

32. მაქსიმალური 3 ქულა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | X | X | X | |

4 ან 5 შევსებული უჯრა 0 ქულა

33. მაქსიმალური 3 ქულა

| | ა | ბ | გ | დ | ე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | X | | X |
| 2 | X | X | | | |
| 3 | | | | X | |

სწორად შევსებული სვეტების რაოდენობას მინუს 2

34. მაქსიმალური 3 ქულა

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | X | X | | |
| 2 | | | | X |
| 3 | | | X | |

სწორად შევსებული სვეტების რაოდენობას მინუს 1

35. მაქსიმალური 4 ქულა

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | X | X | | |
| 2 | | | X | |
| 3 | | | | X |
| 4 | | X | | |

თითოეული სწორად შევსებული სტრიქონი 1 ქულა

36. მაქსიმალური 4 ქულა

| | ა | ბ | გ | დ |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | X | |
| 2 | | | | X |
| 3 | X | | | |
| 4 | | X | | |

თითოეული სწორად შევსებული სტრიქონი 1 ქულა

37. მაქსიმალური 3 ქულა

| x | y | z |
|---|---|---|
| 4 | 2 | 1 |

38. 1. $30 \times 2 = 60$ 1 ქულა

2. $45 \times 2 = 90$ 1 ქულა

3. $(60 + 90) / 2 = 75$ 1 ქულა მაქსიმალური 4 ქულა

4. $75/3 = 25$ 1 ქულა

39. 1. Aa

2. Aa

3. Aa

4. AA ან Aa

5. 1/2

6. 3/4

მაქსიმალური 5 ქულა

1 და 2 შეკითხვის სწორი პასუხი 1 ქულა

3 და 4 შეკითხვაში სწორად ჩაწერილი ნებისმიერი 2 გენოტიპი 1 ქულა,
სამიგე სწორად ჩაწერილი გენოტიპი 2 ქულა

40. 1. მდედრი - $X^A X^a$, მამრი - $X^A Y$ 1 ქულა
2. მდედრი - X^A, X^a , მამრი - X^A, Y . 1 ქულა
3. წითური - მხოლოდ მამრი 1 ქულა
შავი - ოოგორც მდედრი ისე მამრი 1 ქულა
4. წითური $1/4$, შავი $1/2$ 1 ქულა მაქსიმალური 5 ქულა
41. 1. $(302 + 298) : (102 + 98) = 3:1$ 1 ქულა
2. $(302 + 102) : (298 + 98) = 404 : 396 = 1,02 \quad 1:1$ 1 ქულა
3. AaDd და Aadd 1 ქულა
4. AADd, 2AaDd - ყვითელი გლუვი, AAdd, 2Aadd - ყვითელი ნაოჭიანი,
aaDd - მწვანე გლუვი, aadd - მწვანე ნაოჭიანი
სწორად ჩაწერილი მხოლოდ გენოტიპები 1 ქულა
სწორად ჩაწერილი გენოტიპები და ფენოტიპები 1 ქულა
5. ყვითელი გლუვი - $3/8$ ყვითელი ნაოჭიანი - $3/8$, მწვანე გლუვი - $1/8$,
მწვანე ნაოჭიანი - $1/8$. 1 ქულა
მაქსიმალური 6 ქულა